

ლადო პაპავა: “სააკაშვილმა ამერიკა მოატყუა”

გაზეთი “ახალი თაობა” – 7 თებერვალი, № 31, 2012 წელი

ინტერვიუ პროფესორ ლადო პაპავასთან

– ბატონო ლადო, თქვენი შეფასებით, რამდენად იმედისმომცემია ამერიკის პრეზიდენტისა და სააკაშვილის შეხვედრა იმ კუთხით, რომ საქართველოში შემოდგომაზე რეალურად შეიცვლება ხელისუფლება?

– შეხვედრა იყო ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი იმიტომ, რომ საქართველოს სდახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გარანტი, უწინარეს ყოვლისა, აშშ-ის და მისი კეთილდამოკიდებულება საქართველოს მიმართ ძალიან მნიშვნელოვანია. ამ თვალსაზრისით ეს შეხვედრა იყო ისტორიული. არის თუ არა იმედისმომცემი, ეს დამოკიდებულია ვის რისი იმედი აქვს. ვილაციისთვის ძალიან იმედისმომცემია და ვილაციისთვის კი პირიქით. ობამასთან ერთი-ერთზე შეხვედრიდან გამოსული სააკაშვილი ხაზს უსვამს, მან მოისმინა ის, რისი მოსმენაც უნდოდა და ამიტომ არის კმაყოფილი. თანაც იმაზე მეტი მივიღეო, განაცხადა. რის მიღებას ელოდა კონკრეტულად სააკაშვილი, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რადგანაც ასეთი ინფორმაცია უბრალოდ არ არსებობს. ამ ვარაუდსაც რაღაც ობიექტური საფუძვლები აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი ლიდერი აცხადებს, რომ სააკაშვილს არ სცალია თავის მომავალზე საფიქრელად, და თვითონ სააკაშვილიც ამას იმედოვნებს, მე მგონი, ამაზე უფრო დიდი საფიქრალი სააკაშვილს არ გააჩნია. სწორედ იმიტომ, რომ თავის მომავალზე ფიქრობს ამიტომაც შეცვალა კონსტიტუციური მოდელი; ამიტომ გადააქვს პარლამენტი ქუთაისში. ასე რომ, ოვალური დარბაზიდან გამოსული სააკაშვილი თუ იმას გულისხმობდა, რომ ის რასაც ელოდა ის მოისმინა და იმაზე მეტი, პირველ რიგში ის ელოდა, რომ დარჩეს ქვეყნის სათავეში. ამიტომ თუ ამაზე იყო საუბარი, ცოტა არ იყოს საეჭვოა, რომ ამაზე თანხმობა მიეღო. თუმცა თეორიულად არც ეს არის გამორიცხული. იმიტომ, რომ ნახეთ ერთობლივი

საჯარო გამოსვლისას ობამამ გააკეთა საკმაოდ ბუნდოვანი განცხადება, რომ საქართველოში უნდა მოხდეს ხელისუფლების ფორმალური ჩანაცვლება. ფორმალური – ამ შემთხვევაში ნიშნავს, რომ ეს უნდა მოხდეს კანონის საფუძველზე, ანუ რა რევოლუციით და გადატრიალებით. ამაზე სააკაშვილმა გააკეთა მისთვის საკმაოდ ხელსაყრელი განცხადება, რომ ახალი კონსტიტუციის თანახმად ქვეყანაში ახალი პრეზიდენტი აირჩევა. მან უკვე თქვა, რომ საქართველოში პრეზიდენტი სხვა იქნება, მაგრამ ის პრეზიდენტი რომ იმ ძალის არ იქნება, რა ძალისაც დღეს სააკაშვილია, ამაზე რა თქმა უნდა, არავის არანაირი კომენტარი არ გაუკეთებია. შემდეგ „როიტერმა“ დაუსვა ასეთი ბრიყვული კითხვა: აპირებს თუ არა სააკაშვილი, რომ იყოს პუტინი. ამაზე სააკაშვილმა სავსებით სწორად უთხრა, რომ ეს პრაქტიკულად გამორიცხულია. იმის ნაცვლად, რომ ჟურნალისტს გონება მოეხმო და ეკითხა, აპირებს თუ არა პრემიერ-მინისტრობას, ამის ნაცვლად ჰკითხა, აპირებთ თუ არა იყოთ პუტინიო. სააკაშვილს პრემიერობის შემთხვევაში იმაზე მეტი უფლებები ექნება კონსტიტუციით, ვიდრე პრემიერ პუტინს აქვს. თუმცა ის არაფორმალურად დღესაც რუსეთის პირველი პირია. არაერთ ანალიტიკოსს აღუნიშნავს, რომ ამერიკელებს სტერეოტიპული მიდგომები აქვთ, ამდენად მათთვის ხელისუფლების სათავეში მესამე ვადით მიხეილ სააკაშვილის დარჩენა თუნდაც უკვე პრემიერ მინისტრის რანგში აშკარად მიუღებელი იქნება. ამერიკელების რეაქცია იქნება უარყოფითი, საკმაოდ კრიტიკული. მაგრამ, როგორც იტყვიან, მერე რა. იმიტომ, რომ სააკაშვილს კონსტიტუცია არ ექნება დარღვეული. თუ ამერიკელები და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობა დაადასტურებს, რომ 2012 წლის არჩევნები მეტ-ნაკლებად ნორმალურად ჩატარდა, მერე რა რომ პრემიერ-მინისტრი გახდება, რა უკრძალავს მას ამას?! მით უფრო, რომ ნაცმოდრობის ლიდერები აცხადებენ, რომ სააკაშვილი პოლიტიკაში უნდა დარჩეს. ვთვლი, რომ სააკაშვილმა უბრალოდ არ დაიტოვა სხვა გზა გარდა იმისა, რომ პრემიერ მინისტრი გახდეს, ხოლო ის, რომ დღეს ის ამაზე საუბარს თავს არიდებს ადვილი ასახსნელია: რომ თქვას პრემიერ მინისტრი არ ვიქნებიო “ნაცმოდრობა” დაეშლება, ხოლო თუ იტყვის პრემიერობას ვაპირებო დღესვე გადაიკიდებს დასავლეთს!

- თუმცა ობამას მიერ ნათქვამმა ჩანაცვლებამ, კითხვის ქვეშ დააყენა ოპოზიციურად განწყობილი მოსახლეობის უმეტესობის იმედი – შეიცვალოს ეს ხელისუფლება. შეიძლება დარწმუნებით ითქვას ამ ეტაპზე, რომ ახალ პარლამენტში ნაციონალურ მოძრაობას უმრავლესობა გარანტირებული აქვს? მისი ლობისტები ამაზე იმუშავენ.

- მაგის თქმა ძნელია. მე ვიზიარებ კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორის ლინკოლ მიტჩელის შეფასებას, რომელმაც თქვა, რომ საქართველოში მომავალი 2012 წლის არჩევნები გაყალბდება. ამის ყველანაირი საფუძველია შექმნილი. ამიტომ ჩვენ უტოპისტები, ან უკეთეს შემთხვევაში დიდი რომანტიკოსები უნდა ვიყოთ, რომ გვეგონოს, საქართველოში ჩატარდება სამართლიანი არჩევნები. თუ ამას ხედავს ამერიკელი პროფესორი, ჩვენ აქ ხომ უკეთესად ვხედავთ, რომ გაყალბების ალბათობა დიდია. მთავარია, რა დონის გაყალბების უფლებას მისცემს სააკაშვილს ხალხი. აქ ოპოზიცია ხალხის დამრავლების როლში უნდა გამოვიდეს. მთავარია, რა დატვირთვას აიღებს თავის თავზე ქართული საზოგადოება და რამდენად შეეგუება ის გაყალბებას. ყოველთვის როცა ამერიკელებზე ვლაპარაკობთ, ერთი რამ უნდა გვახსოვდეს: 2012 წლის შემოდგომაზე ამერიკელებს ჩვენთვის დიდად არ ეცლებათ, იმიტომ, რომ ოქტომბერში, როცა აქ საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს, იმ დროს ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნებია. ამიტომ ამერიკის ადმინისტრაციის მთელი ყურადღება ამერიკის პრეზიდენტის არჩევნებზე იქნება გადატანილი. ეს სააკაშვილმა იცის და ესეც მისთვის სასარგებლო მომენტია და მას ხელ უწყობს. და კიდევ ერთი: როდესაც შარშან ეგვიპტეში რევოლუცია მოხდა, როცა პირველად ხალხი გამოვიდა პროტესტის გამოსახატავად, ამერიკის ადმინისტრაციამ მუბარაქის მხარე დაიჭირა. როცა ნახა, რომ ხალხი აღარ დაიშალა და ხალხის რაოდენობა იზრდებოდა, მერე შეცვალა ამერიკამ პოზიცია. დაახლოებით მსგავსი რამ იქნება საქართველოშიც.

- ანუ ფიქრობთ, რომ ქუჩის აქციები გარდაუვალი აუცილებლობაა?

- სააკაშვილი აუცილებლად წავა გაყალბებაზე. ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ამიტომაც ხდება პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რომ თბილისი გაყალბებულ არჩევნებს არ მიიღებს და აქ გამოსვლები იქნება. მაგრამ

სააკაშილს თავის პარლამენტის შესაკრებად ექნება ქუთაისი. ხელი არ შეეშლება. მთავრობის რეზიდენციაც ქუთაისში იქნება. აქედან გამომდინარე, თუ გაყალბებული არჩევნების ფონზე ქართული საზოგადოების პროტესტი სერიოზული არ იქნა, ამერიკა გააკრიტიკებს სააკაშილს, თან თავის პრობლემებით იქნება ძალიან დაკავებული, მაგრამ სააკაშილს შერჩება პრემიერ-მინისტრობა. მაგრამ თუ ქართველების პროტესტი იქნება ძალიან ძლიერი, ბუნებრივია, ამერიკა, როგორც ამას მთელ მსოფლიოში აკეთებს დადგება ხალხის მხარეს. ზაზა შათირიშილის სიტყვები მახსენდება, რომ სააკაშილს აქვს ისტორიული შანსი შევიდეს მსოფლიოს ისტორიაში, როგორც ძალიან წარმატებული პიროვნება. ხომ ხედავთ პრაქტიკულად მთელი მსოფლიო გააბრიყვა ე.წ. დემოკრატიული, წარმატებული რეფორმებით, დაძლეული კორუფციით და ა.შ. უცებ, სააკაშილის და მისი გუნდის თავში რომ “მოიხარშოს” ისეთი იდეა (რომლის აღბათობა ჩემთვის 1%-ზე მეტი არ არის, მაგრამ მაინც თეორიულად რომ ვიმსჯელოთ), რომ სააკაშილი აქტიურ პოლიტიკაში არ დარჩეს და მოიქცეს ისე, როგორც თავის დროზე მოიქცა ვაცლავ ჰაველი, წარმოიდგინეთ, რომ სააკაშილი მსოფლიო მასშტაბის ისტორიული პიროვნება გახდება. ზღაპრები საქართველოს წარმატებებზე უკვე დაიწერა – მსოფლიო ბანკზე ავტორიტეტულ ორგანიზაციას სად იპოვით. ის, რომ თურმე საქართველოში დემოკრატია ჰყვავის, ამაზეც ლამის მთელი დასავლეთი გაჰკივის. ამის ფონზე სააკაშილმა გადაწყვეტილება რომ მიიღოს და აქტიურ პოლიტიკურ თანამდებობაზე აღარ დარჩეს, ის ხდება მსოფლიო მასშტაბის ისტორიული პიროვნება. მაგრამ სააკაშილის წინაშე არის ასეთი ალტერნატივა: იყოს მსოფლიო მასშტაბის ისტორიული პიროვნება, თუ იყოს ხელისუფალი. მე მგონი, მისთვის მეორე ალტერნატივა უფრო მისაღებია. იმიტომ, რომ მართლა წარმოუდგენელია, რა უნდა აკეთოს მიხეილ სააკაშილმა, თუ არ იქნა ის ქვეყნის პირველი პირი. ვერცერთი საერთაშორისო ორგანიზაცია მას ვერ წაიყვანს, თუნდაც იმიტომ, რომ იმ საერთაშორისო ორგანიზაციებში ყველგან რუსეთი დახვდება. რუსეთს ამ ორგანიზაციებში ხშირად ვეტოს უფლება აქვს და სააკაშილის კანდიდატურა ყველგან დაიბლოკება. ამიტომ საერთაშორისო ორგანიზაციებში სააკაშილის პერსპექტივა ყველგან თითქმის ნულის ტოლია.

სადმე ამერიკულ უნივერსიტეტში რომ წავიდეს პროფესორად, ეს თვითონ სააკაშვილისთვისაა მიუღებელი. წარმოგიდგენიათ სააკაშვილი სადმე აუდიტორიაში იჯდეს და სალექციო თემის მთელ კურსს კითხულობდეს?! ან კომპიუტერთან იჯდეს და სტატიებს წერდეს? – გამორიცხულია.

– თქვენც ახსენეთ, სააკაშვილმა მთელი მსოფლიო მოატყუაო. როგორ მოახერხა ეს?

– შესანიშნავად.

– საელჩოები სათანადოდ არ მუშაობენ? როგორ გააბითურა ამდენი ხალხი?

– ნახეთ, რა არის, ეს რომ იყოს მხოლოდ ერთი წელი რეკოლუციის თავზე, ვიტყოდით, რომ კაცის მოტყუება რა უნდა, ადვილიაო. მაგრამ როცა მის უკან 8 წელიწადია. ამ 8 წლის განმავლობაში არის 7 ნოემბერი, აგვისტოს ომი, 2011 წლის 26 მაისი, მსოფლიოს თუ არ უნდა, რომ მოტყუვდეს, არ მოტყუვდება. მაშასადამე, ჩავთვალთ რომ ამერიკასაც და ევროპასაც უნდა, რომ მოტყუვდეს. ბევრი კრიტიკული წერილები იბეჭდება ბოლო დროს ამერიკის წამყვან გაზეთებში. მიუხედავად ამისა, დასავლეთი მაინც ტყუვდება. რატომ? იმიტომ, რომ მათ ურჩევნიათ მიიღონ ტკბილი ზღაპარი საქართველოს შესახებ, ვიდრე აღიარონ, რომ ყირგიზეთისა და უკრაინის შემდეგ საქართველოც არ არის დიდად წარმატებული.

ინტერვიუს გაგრძელება გაზეთმა ამოიღო

– თუ ამ პოზიციით ამერიკა ღიად გამოკვეთს, რომ საკუთარ ინტერესებს წირავს საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს?

– არც ეს არის გამორიცხული. მათ უნდათ, რომ თქვან, წარმატებული დასავლური ტიპის სახელმწიფო შეიქმნა საქართველოში. მაგრამ ამაზე კარგად თქვა დავით მაღრაძემ: საქართველოში შეიქმნა ინგლისურენოვანი აღმოსავლური დესპოტია. ეს არის კლასიკური შეფასება. სააკაშვილის ორიენტაცია არის ინგლისურენოვანი საქართველო, მაგრამ არა დასავლური ფასეულობები. მართლაც აღმოსავლური დესპოტია ყალიბდება ქვეყანაში. თანაც ეს არის ლამაზად შენიღბული, თანაც დასავლეთსაც აწყობს, რომ თავი მოიტყუოს, მას

რაც პოზიტივი სჭირდება. საქმე გავქვს ორ საქართველოსთან: ერთია რეალური საქართველო ინგლისურენოვანი აღმოსავლური დესპოტიით, და მეორე – ვირტუალური საქართველო ევროპული, დასავლური დემოკრატით.

– ამ ფონზე, უმძიმესი მომავალი ელოდება საქართველოს?

– რა თქმა უნდა. თუ საქართველოს ხელისუფლებაში უმრავლესობაში ნაციონალები დარჩნენ და სააკაშვილი გახდა პრემიერ-მინისტრი, სულ ცოტა 5-10 წელი ჩვენ ისევ სიბნელეში ვიქნებით. შორს ნუ წავაღოთ, წარმოიდგინეთ, იმ ტკბილი სიტყვების ფონზე, რასაც ახლა სააკაშვილს ეუბნებიან ამერიკაში, იქედან ჩამოსული სააკაშვილი რამდენად აგრესიული იქნება თბილისში. თუმცა ახლა საპარლამენტო არჩევნების წელია და აგრესია შეიძლება ცოტათი მაინც შეარბილონ. სააკაშვილი ჩათვლის, რომ ამჟამადაც ვაშინგტონიდან მორიგი ინდულგენცია მიიღო ქართველი ხალხის ჩასარეცხად. გაიხსენეთ, 2005 წელს ბუში რომ ჩამოვიდა საქართველოში მან პრაქტიკულად მიიღო ინდულგენცია, რომ გადაეგლო ქართველი ხალხისთვის და გადაუარა კიდევ. ახლაც იგივე საფრთხის წინაშე ვდგავართ. უბრალოდ, ახლა შეიძლება იმან გვიშველოს, რომ შემოდგომაზე არჩევნებია და მთლად აგრესიული ვერ იყოს ნაციონალური მოძრაობა. აგრესიულობა და საკუთარი ხალხისადმი სიძულვილი მათ სისხლსა და ხორცში აქვთ გამჯდარი.

– თუმცა ხელისუფლებამ ფინანსური წნეხი გააქტიურა, გაიზარდა გადასახდელები იგივე მომხმარებელთა უფლებების ხარჯზე. ფაქტია, ხელისუფლება თანხების მობილიზებას იწყებს. ეს პოლიტიკური მარწუხებიც თავის კვალს დატოვებს იგივე არჩევნებზე.

– გადასახდელები, იგივე 112-ის საფასური აბსოლუტურად გაუგებარია. იგივეა ნაგვის მიბმა ელექტროენერგიაზე. იმავდროულად ეროვნული ბანკი ჩამოყალიბდა საბანკო ქანდარმერიად. გაუგებარია, თურმე კომერციულმა ბანკებმა ეროვნულ ბანკს უნდა მიაწოდონ ინფორმაცია პოლიტიკურად აქტიური პირების, მათი ოჯახის წევრების და ა.შ. საფინანსო ოპერაციების შესახებ. სწორედ ამიტომ ვართ ჩვენ აღმოსავლური დესპოტია, თუმცა ეს ყველაფერი დასავლეთში დემოკრატიად არის გასაღებული. შეიძლება სამოქალაქო რეესტრის კუთხით წარმატებული რეფორმებია, მაგრამ ამაზე აქცენტირება და

დანარჩენზე თვალის დახუჭვა, ეს დიდი ვერაფერი სიკეთეა. დასავლეთი კი რატომღაც ამაზე თვალს ხუჭავს...

შორენა კოწოწაშვილი